ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 23 ოქტომბრის №02-1865 და №02-1866 ბრძანებებში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1.შევიდეს ცვლილება **„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბჭოს წევრების კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ"** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 23 ოქტომბრის №02-1865 ბრძანების მეექვსე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 22 ნოემბერს 18:00 საათიდან 19:00 საათამდე."

2. შევიდეს ცვლილება **„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან აკადემიური საბჭოსთვის საბჭოს წევრების კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ"** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 23 ოქტომბრის №02-1866 ბრძანების მეექვსე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლიდან აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 22 ნოემბერს 18:00 საათიდან 19:00 საათამდე."

3. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს სამართლის სკოლას, სამდივნოს, იურიდიულ სამსახურს.

რექტორი **გიგი თევზაძე**